ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 59

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127^2 მუხლის და „ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 მარტის N19.308.420 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.ნაწილობრივ გაუქმდეს ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ამხანაგობა „კრწანისი 21-ის" წევრებს შორის 2010 წლის 15 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №100575311) (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-4 მუხლის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული პირობა. კერძოდ, გაუქმდეს ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №21, შენობა N1-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.06.016.027) მდებარე ბინა N65-ზე (173.9 კვ.მ. და საზაფხულო ფართი (ვერანდა) 182.26 კვ.მ) იპოთეკით დატვირთვის ვალდებულება, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვიდან შემოსული თანხები სრულად იქნება მიმართული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისკენ, მათ შორის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და მისი ეზოსთვის გამოყოფილი 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უზრუნველსაყოფად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე